მშვიდობა ის საერთო სიმდიდრეა, რომელსაც შენატრის კავკასიის ყოველი ერი. იგი ურთიერთთანამშრომლობით, პიროვნების პატივისცემითა და კულტურათაშორის დიალოგით აიგება.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ გთავაზობთ პროგრამის შემდეგ პუნქტებს, რომლებიც მიგვაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებისათვის.

1) საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა კავკასიასა და მსოფლიოში, რომლებიც უბიძგებს მთავრობებს კონფლიქტში ჩართულ მხარეთაშორის მოლაპარაკებათა მუდმივმოქმედი მაგიდის შექმნისაკენ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში არსებული წინააღმდეგობების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების გამოსამუშავებლად.

2) კავკასიის რეგიონში კონფლიქტში ჩართული თითოეული მხარისათვის მოწოდება, ნებისმიერი უთანხმოების მოლაპარაკებათა მაგიდაზე გადატანისაკენ, რათა არსებობდეს ძალის გამოყენების გარეშე კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალება.

3) ხელსაყრელი პირობების შექმნა, იმისთვის, რომ მოლაპარაკებათა მუდმივმოქმედი მაგიდა გარდაიქმნეს ადგილად, სადაც შესაძლებელი იქნება ყველა ძალისხმევის გაერთიანება, ჰუმანიტარული, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ზრდისა და განვითარებისათვის, რეგიონის ეტაპობრივი და კოორდინირებული განიარაღების იმედით.

4) რეგიონის კონფლიქტებში დაზარალებულებისათვის სოციალური სტატუსისა და უფლებების აღდგენა, დაბრუნების უფლების გათვალისწინებით ყველასათვის, ვინც ომის შედეგად იძულებული იყო დაეტოვებინა საკუთარი სახლი, ყველა მხარისათვის უსაფრთხოების გარანტიით, დიალოგისა და სხვა ნებისმიერი მშვიდობიანი საშუალებით.

5) პირობების შექმნა, რომლებიც კავკასიის სხვადასხვა ტერიტორიის საწარმოთაშორის გაამარტივებენ თანამშრომლობას და საფუძველს ჩაუყრიან ერთიანი კავკასიური ეკონომიკური სივრცის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ადამიანების, კაპიტალის, ნაწარმისა და მომსახურეობების თავისუფალ გადაადგილებას, ამავდროულად ბუნებრივი გარემოს დაცვის გარანტიით.

6) რეგიონში საერთაშორისო პირველ რიგში ევროპული კომპანიების შემოსვლის პირობების გამარტივება, რომლებსაც სურთ თავისი წვლილი შეიტანონ კავკასიური ეკონომიკის განვითარებაში, ასევე შემუშავება ფინანსური სტიმულების გეგმისა, რომელიც რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისაკენ იქნება მიმართული.

7) საერთო პროექტების განვითარება მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში, დიალოგისა და ტოლერანტობის მხარდასაჭერად, რომელიც საჭიროა სირთულეებისა და არასწორი აზრის გადასალახავად, რაც ერთმანეთის კარგად არცოდნაზეა დამყარებული.

8) საერთო კულტურათაშორისი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც მოიცავენ ენებისა და საზაფხულო, ადგილობრივ და საერთაშორისო სკოლებსა და ბანაკებს, რომლებსაც ექნებათ შეთანხმებული პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა ერის

წარმომადგენლებს მისცემს ერთმანეთის გაცნობის, კულტურებისა და ენების განსხვავებულობის აღქმისა და ამავდროულად შენარჩუნების საშუალებას.

9) საუნივერსიტეტო ინიციატივების მხარდაჭერა, როგორც რეგიონის შიგნით მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ორგანიზებისათვის, ასევე კავკასიელ სტუდენტთა გასაგზავნად საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, და საუნივერსიტეტო კურსებისა და კვლევითი პროექტების შესაქმნელად მშვიდობისა და კონფლიქტების გადაწყვეტის თემაზე.

10) პლურალისტური, მრავალ ენობრივი და რეგიონთაშორისი ხასიათის ტელე-რადიო არხებისა და სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დაფინანსება და მხარდაჭერა.

11) გაერთიანების ერთ-ერთ საშუალებად, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ხმელთაშუა ზღვის თამაშების მოდელით.

12) კულტურული ინიციატივებისა და ფესტივალების "კავკასიის დღეები"-ს ჩატარება (კინემატოგრაფიის, თეატრის, ფოლკლორის, ხელოვნების, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის), რომლებიც ხელს შეუწყობენ გაცნობასა და ხაზს გაუსვამენ რეგიონის საერთო კულტურულ ფონდს, ყოველი ხალხის თავისებურებების პატივისცემით.

13) რონდინეს სტუდენტთა გამოცდილება დაედოს საფუძვლად კავკასიაში არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მოღვაწეობას, რომელიც შესაძლებელს გახდის რეგიონის ყველა ხალხთა ერთიანი ახალგაზრდული ფორუმის ჩამოყალიბებას. რის ერთ-ერთ ხელსაწყოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტერნეტ საიტი, რომელიც გაამარტივებს რეგიონის სხვადასხვა ენაზე ინფორმაციის გაცვლას და უზრუნველყოფს პრობლემების შესახებ ობიექტური და დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

14) რელიგიათაშორის დიალოგის განვითარების მხარდაჭერა საერთო მშვიდობისა და ძმობისათვის.